

შინაური საქმეები

№ 23.

კვირა, სექტემბერი 20, 1909 წ.
 ფასი წლიურად — — 4 მან.
 „ნახევარი წლით — — 2¹/₂ მან.
 ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეკათ.
 ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“
 რედაქცია

უკველკვირეული გაზეთი.

შინაური საქმეების ჯვარსა შენსა თაყვანსა ვცემთ, მეუფეო! რას მოველით! ძმური სიტყვა ქუთათურ ვაჭრებს — თქვენი მეგობრისა; არა კეთილი გზით — მღ. ნიკოლოზე კანდელაკისა; წერილი მეგობრის მიმართ — შენი ხაკო უჩარდიასი; ზოგიერთ მწერლებს (ლეჟსი) — ივერიელისა; იროლიადა (თარგმანი ფრანგულიდან) — მაქსიმოძისა; ლექსი პროზათ — ქვაციხელ საბაგელისა; კვირიდამ კვირობამდე; კიდევ ის მაფიქრებს! — ამხანაგისა.

ს ტ ა მ ბ ა

ივერეთის ფ. გიორგის სარწმუნოებრივ განმანათ.

„მ მ ლ ბ ი ს ა“

გაიხსნა ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, გ. კირიშჩევის სახლში, გუბერნატორის კანცელარიის ქვეშ,

ლეულთეს უთველკვირეულ სასტამბოთ სამეიფეს

ხ ე ლ მ ი ს ა ფ დ რ ა ფ ა ს ე ბ შ ი.

ასრულეზს სუფთად და თავის დროზე.

უკველკვირეულ გაზეთ
„შინაურ საქმეებზე“
 ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2¹/₂ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.
 დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ჯვარსა შენსა თაყვანსა ვცემთ, მეუფეო!
 მთელი ქრისტიანობა სასწაულია, მთელი ქრისტეს ცხოვრება, მისი მოძღვრება, თავიდან ბოლომდე საკვირველებაა და საოცრება. მსწავლეულების სიტყვით დედამიწის თავზე მილიონ წლებს გადაუვლია და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა და არ მიმხდარა მსგავსი სასწაული. არ ყოფილა და არ არის მოძღვრება, რომელიც ასე ცხადად და გარკვეულად ახასიათებდეს იდამიანის სიკაცობის აზრს, მის მისწრაფებას, მის ღირსებას და ღირებულებას. თუ დარბაისლად შევხედავთ საქმეს,



დღევანდელი*) დღეც სასწაულია, საკვირველებათა. დღეს მთელი საქრისტიანო დამხობილია ჯვარ ქვეშ, თაყვანს სცემს მას და გალობს: „ჯვარსა შენსა თაყვანსა ვსცემთ მუუფო!“! საიდგან მოხდა, რომ ჯვარი—ეს საზიზღარი იარაღი არა აღამიანურ სიკვდილით დასჯისა სათაყვანო და სადიდებელი შეიქნა? ძველ დროში და რომაელების ბატონობის დროს ჯვარს იცნობდენ, როგორც სასიკვდილე იარაღს, როგორც დღეს სცნობენ სახრჩობელას და ისევე ეზიზღებოდნენ მისი შეხედვა, როგორც დღეს ჩვენ გვეზიზღება და გვზარავს სახრჩობელა. ებრაელებს არა თუ ჯვარი სძაგდათ, არამედ ჯვარზე დამოკიდებულიც და ამბობდენ: წყეულ იყავნ ყოველი დამოკიდებული ჯვარსა ზედაო, რამდენათ საზიზღრათ მიაჩნდათ ჯვარი და ჯვრით სიკვდილი რომაელებს, ეს იქიდგან სჩანს, რომ ჯვარზე აკრავდენ მხოლოდ მონებს და არა კეთილშობილებს, და არა მაღალი ჩამომავლობის პირებს ნერონ მტარვალმა ვერ მოიგონა უსაზიზღრესი და უსასტიკესი სასჯელი ქრისტიანთათვის. მაგრამ მიუხედავად ყოვლისა ჯვარი შეიქნა სათაყვანო და სადიდებელი; და ეს არის უდიდესი და გონება მიუწოთმელი საკვირველება, თუ როგორ შეიქნა სათაყვანო სასიკვდილე იარაღი, როგორ შეიქნა საყვარელი საზიზღარი იარაღი? ვინ ქკუაში მყოფი თაყვანსა სცემს სახრჩობელას, რომელი მშობელი შეიყვარებს იმ იარაღს, რომელზედაც სული დალია მისმა საყვარელმა შვილმა? აქ კი გამოდის პირდაპირ წინააღმდეგი. გვიყვარს და ვეთაყვანებით იმ იარაღს, რომელზედაც მოკვდა ჩვენი მხსნელი. აგვისხნან ეს გარემოება ჩვენმა უარის მყოფელებმა. აგვისხნან და განგვიმარტონ რანაირად შეიქმნა საზიზღარი საყვარლად, სიკვდილის იარაღი სათაყვანოდ? შეიძლება სთქვან, ხალხი ეამთა განმავლობაში შეეჩვია მას, რასაც ყოველ დღე უჩიჩინებენო, მაგრამ ეს პასუხი არ არის. არიან შედარებით ახალი ქრისტიანები, რომლებსაც არა ნაკლებ უყვართ და ეთაყვანებიან ჯვარს. აუხსენით ქრისტეს სჯული რომელიმე

წარმართს, შეაგნებით მიზანი ქრისტეს მოვლენებისა და ის უთქვენოთ ერთბაშათ შეიყვარებს ჯვარს და თითქოს უნებლიეთ წამოიძახებს: „ჯვარსა შენსა თაყვანსა ვცემ, მუუფო!“ ასეთი ძლიერა აქვს ჯვარს, ასეთი მიმზიდველობა აქვს მის სახეს და ეს ძლიერა და მიმზიდველობა არის მისი და მახედ ჯვარცმულის სასწაულებრივი მოქმედება. ამის მეტ ახსნას ვერ მოუძებნით ამ ყოვლად გაუგებარ საქციელს, რომელსაც ჯვარის თაყვანის ცემას ვეძახით!..

რ ა ს მ ო ვ ე ლ ი თ ?

ექვი არ არის მომავალი წელი შიმშილობას მოგვიტანს განსაკუთრებით ქუთაისისა, შორაპნისა და რაქა-ლეჩხუმის მაზრებში. მესამედობას მოსავალი შუა აპრილამდე არ მიჰყვება. დანარჩენები შობასაც იძულებულნი იქნებიან ნამუშევარი იყიდონ. როგორც მოგვხსენებთ, ჩვენი გლეხი მდიდარი არ არის; მას არაფერი აქვს შენახული შავი დღისთვის და ან კი რა უნდა შეენახა, როცა აქნამდისაც არაფერი გააჩნდა მოსარჩენი და შესანახავი. თავის ნაშრომ ნაღვანო ძლიერს ცოლ-შვილს უკვებავდა და სახელმწიფო და საზოგადო მოთხოვნილებას უკმაყოფილებდა. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ შიმშილობა უნუგეგმო და უსახსრო იქნება, თუ ეხლავე ზომები არ მივიღეთ, თუ ეხლავე თადარიგს არ შეუდგეკით.

ამბობენ გურიაში კი მოსავალიაო და ღმერთმაც ისე კი დაგმართოს. „ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო“, ამბობს ქართული ანდაზა. გურიის ალბ-მიცემობა სიმინდზე და მყარებული და უსუსურობა იქნება ჩვენი მხრით, რომ ვუთხრათ, რაც გასაყიდი გექნეს უთუოდ ჩვენ გვაჩუქეო. თუმცა გურულეებმა სოციალიზმზე ადრე დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ ასეთ ქრისტიანულ საქმეს მაინც ვერ მოვთხოვთ მათ. ისიც დიდი შემწეობა იქნება მათი მხრით, თუ სიმინდს საზღვარ-გარეთ არ გაუშვებენ და ისევ თავის ძმებს მიჰყიდიან. ხარალი ბევრი არ შეუდგებათ, შეიძლება თი-

*) ჯვართ ამაღლების დღე.

თო შაური დააკლდეთ ფუთზე, მაგრამ სამაგიეროთ თავის ღვიძლ ძმებს გამოჰყვებავენ და ნახევრად მაინც აღასრულებენ ქრისტეს მცნებას.

მას აქვთ, რაც ამერიკული სიმინდის თესლი შემოვიდა, სულ დაიკარგა ჩვენებური სიმინდის თესლი. ეს სიმინდი, თუმცა ცოტა მოსავალს იძლეოდა, მაგრამ სამაგიეროთ ადრე შემოდრიოდა. ადრე დათესილი ეს სიმინდი გვალვებს უსწრებდა და ევრეთ წოდებულ სარიყავ ადგილებშიდაც კარგ მოსავალს იძლეოდა, იმ ადგილებში, სადაც დიდი სიმინდი ან სულ არ იძლევა მოსავალს და ან ძალიან ნაკლებს. ასეთი თვისება ჰქონდა ამ სიმინდს, მაგრამ უფიცმა ხალხმა არ შეიწყნარა იგი და ამით მთელი მესამედი თავის მიწებისა დაუმუშავებელი დასტოვა. საქირთა ეხლა მაინც ჩავარდნენ გულისხმაში და შემოაბრუნონ ისევ დაკარგული სიმინდის თესლი. ეს სიმინდი, რომ ვაზაფხულზე — მარტში — დაითესოს, ივანობისთვის დამლევეს ან კვირიკობისთვის შუარიცხვებში ხალხს ნამუშევარი მოესწრობა და შიმშილობა ცოტა შეუმსუბუქდება.

ამავე ამერიკულ სიმინდის თესლმა შორაპნისა და ქუთაისის მაზრაში პურის მოსავალი დაჰკარგა. ეხლა ამ მაზრებში პურს ათასში ერთი გლეხი თუ თესავს, მაშინ როდესაც არიან ადგილები სადაც პური მოდის და სიმინდი კი არა. მაგ. ავილოთ სოფ. სვირი (ქუთაისის მაზ.) აქ ორი ათას ქცევზე მეტი მიწა იქნება, სადაც ხალხი თავის უგნურებით ყოველწლივ სიმინდს სთესს და სათესურსაც ვერ იბრუნებს უკან. პური კი ამ მიწებზე სამაგალითო მოსავალს მისცემს; მაგრამ ერთხელვე შეჩვეულ გლეხს აღარ ეხერხება მისი თესვა და ამით იგი აკლებს თავის თავს სარჩოს. საქირთა წრეულს მაინც დროებით დაუტეოს გლეხმა თავის უგნური ჩვეულება და პური დროიანად დასთესოს, რომ ივანობისთვის შიმშილობა შეიმსუბუქოს.

პურის თესლი ეხლა ძნელი საშოვარია ჩვენში, ამიტომ სათესური გლეხმა უნდა იყიდოს, მაგრამ რითი, რაც არა გააჩნია რა. აქ საქირთა მართებლობის დახმარება, რომელი

მაც ან უფასოდ და ან ნისიათ უნდა დაურიგოს სათესლე.

ეს რამოდენიმე წელიწადია ხალხში გამოსაკვებავ თანხას კრებენ და ხაზინაში ინახავენ. მართალია აქედგან ბევრი ხელს მოეცებოდა, ბევრი დაიკარგებოდა, მაგრამ, ექვ გარეშეა, ხაზინაშიდაც შევიდოდა რამე. თუ ამ ფულის დანიშნულება შიმშილობის დროს ხალხის დახმარებაა, დროზედ უნდა შევეცადოთ მის მიღებას, თორემ მის გამოტანასაც გვარიანი ხლაფორთი სჭირდება და უდროვით დაწყებული, საქმეს ვერ მიეწევა. ეხლავეც საქირთა ეს ფული, თუ შესაძლებელია მისი დროით გამოტანა — პურის თესლის შესაძენად, თუ მართებლობა თავის მხრით არ დაეხმარება ხალხს.

ხალხი უფიცია, იგი ხშირად მხოლოდ ძალას წარმოადგენს და სხვას არაფერს, ამიტომ საქირთა ამ საქმეს სათავეში ისინი ჩაუდგენ, ვისაც ესმის და გაეგება. ასეთი პირები სოფელში უნდა იყვნენ მღვდლები და მასწავლებლები და მაშასადამე მათი ვალია ჩაუდგენ სათავეში ხალხის გამოკვების საქმეს, შეაგონონ ხალხი დასთესონ საადრო სიმინდი, პური, დროზე შეატყობინონ მართებლობას ხალხის გასაქირი. განსაკუთრებით სამღვდლოება ვალდებული იზრუნოს ამის შესახებ და იმედია კიდევ იზრუნებს. საქირთა საზოგადოებამ იკოდეს ხალხის მატერიალური მდგომარეობა. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთ ჩვენ კაპიტალისტებს გაუღვიძოს სინიდიხმა და ორი გროში გადაადღოს დამშეულის გამოსაკვებად. ამიტომ საქირთა ვაზეთებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და დროებით მიატოვონ ოსმალეთ-სპარსეთის პოლიტიკა, რადგან იგი უჩვენოთაც თავის გზას არ დაჰკარგავს.

ქუთაისი სიტყვა ქუთათურ ვაჭარებს.

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ კი ხანია დაყარა იარაღი და დაჰკარგა ნდობა. ეს მოხდა იმ საბედისწერო დღის შემდეგ როცა მან ქიათურის შავ ქვაში იხარაღა და თავის წევრებს ზარალის ინაზღაურება

შეუკვეთა. წევრებმა (უმეტესმა ნაწილმა მაინც) ზარალი აანაზღაურეს, მაგრამ ბანკს ქვა მიავორეს და მიატოვეს, არავითარ ოპერაციისთვის მას აღარ ეტანებოდა და რაც რამ შესანახი ან დასახარჯი აქვთ აზოვის ბანკში მიაქვთ და იქ ყრიან. აქაო და აზოვის ბანკი მდიდარია და სანდოაო. ყოველი ბანკი და უმეტეს საურთიერთო ნდობის, მოგვხსენებათ, განსაკუთრებით ვაჭრებს ეკუთვნის, როგორც შეძლებულ ნაწილს საზოგადოებისას. ქუთაისის საურთიერთო ბანკიდაც წევრებად უმეტესი ნაწილი ვაჭრებია და მაშასადამე ყოველი ბედი და უბედურება ამ ბანკისა მათ კისერზე ტრიალებს. კიდევ კარგად წავიდოდა ამ ბანკის საქმე, მიუხედავად ნახული ზარალისა რომ ამ ხელმძღვანელებს და პატრონებს სულ ცოტა გამპროიახობა გამოეჩინათ. ე. ი. ბანკისთვის ჯორული წიხლი არ ეკრათ და თავის ოპერაციები სხვა ბანკში არ გადაეტანათ. თავის ვაჭრული ქკუით ქუთათურები ვერ მიხვდნენ, რომ ბანკის სიმდიდრეს თათონვე შეადგენენ, რომ ბანკი თავისთავად არც მდიდარია და არც ღარიბი, რომ მისი ავლა დიდება განიზომება მისივე წევრების ვექსილების ტრიალით. აზოვის ბანკი მდიდარი აზომდიდარი მით არის იგი, რომ ყოველმა კაცმა ვინც ორი კაპეიკი იშოვნა იქ შეიტანა. ასე გასინჯეთ მოძრაობის დროს ხაზინიდგან ფული გამოიტანეს და აზოვის ბანკს მიბარეს. აქაო და გვეშინია ხაზინა არ გაკოტრდეს და ფული არ დაგვეკარგოსო. აზოვის ბანკი კი სიცილით კვდებოდა და ხაზინიდგან გამოტანილ ფულებს თავის სახელით ხაზინაშივე აბრუნებდა რა თქმა უნდა ასეთი შეუზღებელი მოქმედებით ჩვენებური ვაჭრები მალე გაამდიდრებენ (და გაამდიდრეს კიდევ) აზოვის ბანკს. იმას კი ვერ ხედავენ ჩვენი სოფდაგრები აზოვის ბანკის სიმდიდრე მათი საკუთარი ბანკის დაცემაა, რომ აზოვის ბანკის მოგება სადღაც რუსეთში იკარგება და რაც მათ ჯიბეში მოგება უნდა ჩასულიყო, ის ვიღაც არუთინეების ლუკმა ხდება

ამას შემდეგ მათ კიდევ გული მოსდით და ყალბზე დგებიან საურთიერთო ბანკი დი-

ვიდნდს არ გვაძლევსო! გასაკვირია, საიდგან მოიტანოს საცოდავმა ბანკმა დივიდენდი. ზეციდგან ხომ არ ცეივა ეს დივიდენდია რალა. პარიტიდგან, ვფიქრობთ, არავინ მოვა ვექსილის დასახურდავებლად და უამისოდ კი ბანკი დივიდენდს ვერ იშოვნის. ან კი რათ უნდა მოვიდეს, როცა თავისიანებმა, თავისმა წევრებმა ბანკს უნდობლობა გამოუცხადეს.

არა, ბატონო ვაჭრებო, მაგისანა მოსაზრებით შორს ვერ წარბძანდებით. გირჩევთ შეიგნოთ, რომ თქვენი ბანკის სიმდიდრე და ნდობა თქვენვე ხართ, თქვენზევე დამოკიდებული. თუ ეს პრინციპი არ გქონდათ გათვალისწინებული თავიდგანვე, არც უნდა მოგეკიდათ ხელი ამ საქმისათვის. და თუ მოკიდეთ, ეხლა სუსტობა გვიანლა არის. აბა სინჯეთ თქვენ სანდო და მდიდარ ბანკს თავი დაანებეთ და მაშინ ნახეთ მისი სიმდიდრე, როგორ კუდამოძუებული გაიქცეს ქუთაისიდგან. ასე მოიქცენ სოხუმშიც და თავის სულთ მობრძავი საურთიერთო ბანკი ფეხზე დააყენეს, ხოლო მისი კონკურენტი მდიდარი ბანკი იძულებული შეიქნა გუდა ნაბადი აეკრიბა და გზას გასდგომოდა.

გირჩევთ მამინაცვალს თავი დაანებოთ და მამის სული იფიცოთ.

თქვენი მეგობარი,

არაკეთილი გზით

(სამღვდელოების ცხოვრებიდამ, აზრი რუსულით).

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ს. ფრეწეთის სამრეკლოზე თორმეტჯერ წყნარათ შემოჰკრეს ზარს და მისი გუგუნით მთელ მრევლს ეუწყა სიკვდილი დიდი ხნის ავითმყოფ ადგილობრივ მღვდლის ვალენტინისა.

— სასუფეველი დაუმკვიდრას ღმერთმა ჩვენს მოძღვარს, — ამბობდა თავისს გულში ხალხი ზარის ხმის უდროოთ გავონებაზე და გულის წმინდით იწერდა პირჯვარს.

— მადლობა ღმერთსა, მოგვშორდა ბებერი, — წაილაპარაკა სადილოთუკან ნამძინა-

რევემა ახალგაზრდა მთავარმა—მ. ვალენტინის თანამსახურმა:—კარგ ხანს იცოცხლა!.. დროა სხვასაც ერგოს!

ამბობდა ამ სიტყვებს და თან ტანისამოსს იცვამდა მთავარი. ის ემზადებოდა მიცვალე-ბულის ბინაზე წასასვლელად, უნდოდა დასა-ფლავების სამზადისში მიეღო მონაწილეობა.

— შენ მაგათთან წადი, კარგათაც გაუ-მასპინძლდი,—პიუბრუნდა ცოლს და უთხრა.

— შენ დარდი ნუ გაქვს!.. ყველაფერს მოვახერხებ,—მოკლეთ და მკაფიოთ უპასუ-ხა მან.

მთავარი გაეშურა მ. ვალენტინის სახლი-საკენ. ახალგაზრდა და ცბიერ სახეზე მას მხიარული ღიმილი მოსდიოდა, თითქოს ამ უწყუ-ნარი და ყველასაგან პატივცემული მოხუცის სიკვდილს გაებედნიერებინოს იგი.

შევიდა თუ არა სახლში, მან მიიღო მოწ-ყენილი და მოწყენილი სახე, მივიდა მიცვა-ლებულთან, რომელსაც მოსაგდნენ მისი ორი შვილი და ადგილობრივი მოძღვართ-მოძღვა-რი, და დაიწყო მოთქმა:

— ახ, მ. ვალენტი!.. მ. ვალენტი!.. რა გვიყავი შენ?.. ჯერ კიდევ გეცოცხლა!.. რამ-დენიმე ძალათ მოსული ცრემლები ჩამოუვიდა მთავარს სახეზე.

* *

მიცვალებულის ბინიდან მთავარი და-ბრუნდა შინ. მას აქ დაუხვდა ორი მრევლ-თაგანი, რომლებიც ადუღებულს სამოვარს გარს შემოსხდომოდნენ. ერთი იყო თედორე უქონციძე, კაცი არამზადა, რამდენიმე ხანი ეკლესიის ყარაულად ნამყოფი და ლოთო-ბისა გამო გამოგდებული, —მეორე კი თომა ქარაფშუტაძე, ასისთავად ნამყოფი.

მათ ახლოს ბრკვეიალებდა განახევრებუ-ლი არაყიანი ღრაფინკა.

— მშვიდობა თქვენდა!.. წყალობა ღვთი-სა!.. მიესალმა მთავარი სტუმრებს.

— მაშა მთავარს ვახლავართ,—მიუგეს მათაც, დაიძრნენ ადგილიდამ და გაუწოდეს თავიანთი გაოფლიანებული და ქუქყიანი ხე-ლები.—თქვენც მობრძანდით ჩვენთან.

მთავარსაც არ უუარებია დიდათ.

დაუწყეს ჩაის სმა, თითო სტაქან ჩაის ზედ აყოლებდნენ თითო რუმკა არაყსა. რამ-დენსაც სვამდნენ, იმდენს უმატებდნენ ლაბა-რაქსაც.

— ვგრე ძმებო,—ბოხი ხმით ამბობდა მთავარი:—ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მ. ვა-ლენტინის ადგილზე მე გამანწესონ... რასა-კვირველია საქმე უფრო ადვილათ მოეწყო-ბოდა მე რომ ცოტათი მეტი ნასწავლი ვყო-ფილიყავ, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ სემინარიის მეორე კლასიდან ვარ გამოგდებუ-ლი. მთავარდიაკვნობაც ნაძალადევათ და მო-ხერხებით ვიშოვნე... ეხლა მღვდლობა მსურს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, მრევლმა მიამითხო-ვოს... იცით!..

— ვიცით როგორ არა,—ერთხმათ უპა-სუხეს შეზარხოშებულმა გლეხებმა.

— მაშ გამიწიეთ სამსახური,—გააგრძე-ლა მთავარმა: თხოვნაზე ხელი მოაწერინეთ ხალხს, თხოვნა უკვე მზათა მაქვს მე. შემდეგ კი ბრაგანი მოვადინოთ არქიელთან.

მე დაგარიგებთ, რა უნდა სთქვათ და რო-გორ უნდა მოიქცეთ.

— ეცადეთ, ძმებო,—წამოიძახა ერთი წამის სიჩუმის შემდეგ მთავარმა:—ეცადეთ!.. თუ რამე გამოდნა, ხუთ თუმანსაც გაჩუ-ქებთ ხელათ.

— შენთვის, მ. მთავარო, დიდის სია-მოვნებით დავსდებთ თავს, მხოლოდ არ მო-გვატყუო, სინიღისიერათ გაგვისწორდი,— მოისმა თომა ქარაფშუტაძესაგან პასუხად.

— მღვდლათ რომ იქნე, ყარაულად ისევ მე ჩამაყენე,—ბლუგუნებდა მოყრალი უქონე-ლიძე.

— მაგის დარდი ნუ გექნებათ, ძმებო!..

სინილისიერათ დაგაჯილდოვებთ. ეხლა კი დავლიოთ!..

მთავრის ცოლი დიდი ხანია რაც გავიდა ოთახიდან, ბოვშები დააძინა, ბოლოს თავათაც დაიძინა, —სასადილო ოთახში კი შუალამემდლი იდგა უთაური ყიჟანა, რუბკების ჩხარუნი, სლოკინი და გულის რევა დამთვრალ სტუმრებისა.

სამის დღის შემდეგ მ. ვალენტინის დასაფლავებისა მთავარი გამზადებული თხოვნით, რომელსაც ამშვენებდა ორასამდე ხელის მომწერთა სხვა და სხვა ნაირი ხელი, უქონელიძის და ქარაფშუტაძის თანხლებით რკინის გზით გაემართა საგუბერნიო ქალაქისაკენ.

როცა ორთქლმავალი სადგურებში გაჩერდებოდა ხოლმე, მთავარს გლეხები ბუფეტში შეჰყავდა და ეუბნებოდა:—დალიეთ, ძმებო, რაც გინდათ და რამდენიც შეიძლოთ!..

ისინი, რასაკვირველია, მოხარული იყვნენ უხვი და მუქთი მასპინძლობისა, ყველაზე უფრო ხალისით „შინაურს“ ეტანებოდნენ და ერთი მეორეზე ჰყლანავდნენ ჰიქებიითა.

— უხვათ ნაპურმარილვეი შევიქენით თქვენგან, მ. მთავარო, —ლულულულობდენ ენა დამბულები: — ბევრია, კმარა, —მაგრამ არა უშავს რა, ჩვენც თავს დავსდებთ შენტვის .. ორი დღის შემდეგ ეს მხიარული კამპანია, რომელიც სიმთვრალისა გამო თავს სწორეთ ველარ იქერდა, არქიელის მისაღებ ოთახში იდგა. მღვდელთმთავარი სათითაოდ ღებულობდა მთხოვნელებს მდიდრულად მორთულ ზალაში. ერთი მეორეს მიჰყვებოდნენ და რიგზე შედიოდნენ შიგნი „მომლოდნენი“ მათი მფუფების მოწყალეებისა იქ იყვნენ გამოჩენილი და დამსახურებული დეკანოზები, რომლებიც ჩურჩულობდენ და ისე ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს, იყვნენ მზისაგან დამწვარ-დადაგული სოფლის მღვდლებიცა, ლოთობისა გამო მონასტერში დაკავებით დასჯილი მედაფითნეცა, სამღვდლოების ქვრივებიც თავიანთ ქალებითა, რომელთათვისაც ცდილობდნენ მათი მამების ადგილების შენარჩუნებას...

მისაღები ოთახი თანდათან ცალიერდებოდა. მოაწია მთავრის რიგმაც. შიშრეულეებ შევიდა ის ზალაში, წინა კუთხეში ხატის წინ გადაიწერა პირჯვარი, მოიყარა მუხლი, მივიდა ლოცვა-კურთხევის მისაღებად მღვდელთმთავართან და მოკრძალებით დაიწყო ლაპარაკი:

— ვბედავ და მოვიქცევი თქვენდამო, თქვენო ყ-დ უსამღვდლოესობავ, თხოვნითა, რათა კეთილ ინებოთ და განმაწესოთ მღვდლის ადგილზე ს. ფრეწეთის ეკლესიაზე

— უსწავლელთაგანი ხარ? — ჰკითხა მღვდელთმთავარმა, თან თვალების დასტერებით ათვალეირებდა მთავრის ფეგურას.

— დიახ ბატონო... სემენარიის მეორე კლასიდან გამოვედი...

— მაშ ტყუილ უბრალოთ გასჯილხართ. კიდევ იმსახურეთ მთავრად...

— მაგრამ, მეუფეო, — არა სცხრებოდა მთავარი: მე მრევლსა ვსურვარ...

— არა!.. არა!.. სემენარიაში კურს დამთავრებულეებს რაღა ვუყო? გაიქნია ხელეები მოხუცებულმა და გულკეთილმა მწყემსთ მთავარმა: — წადით, ნულარ იმედობთ...

კიბოსავით გაწითლებული გამოვიდა მთავარი მისაღებ ოთახიდან და იქვე შეჩერდა, უნდოდა გაეგო, თუ რითი გათავებოდა გლეხების მიღება და დარბაზი.

ზლახენით და ზოზინით შევიდნენ გლეხები ზალაში, როგორც დარბეული იყვნენ მთავრისაგან, ისე მოიქცნენ; მათ ისე შეასრულეს ყოველივე, როგორც მთავარმა: გადაიწერეს პირჯვარი, მოიყარეს, მუხლი და სხ ..

— მოწყალეებისთვის, გიახელით თქვენთან, მეუფეო წმინდაო, — ს. ფრეწეთის სამრევლოს წარმომადგენლები, — წარუდგინეს თავიანთ თავი მათ მეუფებას, მართვეს თხოვნა და დაუმატეს:

— გვედრებით... ჩვენი მთავრის თაობაზე. განგვიწესეთ იგი მღვდლათ. სამსახურ-

ში მეტი-მეტი ყოჩალია, ამასთანავე ფხიზელი კაციც არის.

— არა!.. არ შემოდლია,—უბასუბა არ-
ქიელმა.—იმას მე უკვე უარი ვუთხარი.

— მოიღეთ ღვთიური მოწყალება,
განგვიწესე,—დაჟინებით იმეორებდნენ თავი-
სას გლეხები:

— გვიყვარს ის ჩვენ, ძლიერ გვიყვარს,
სხვა არავინ გვინდა, ნურც გამოგვიგზავნით:
სულ ერთია, არ მივიღებთ, უმჯობესია, სხვა
სარწმუნოებაზე გადავალთ... ესე დაგვავალა
ჩვენ მთელმა მრევლმა.

— გაღით მისაღებ ოთახში, იქ მოიცა-
დეთ, მე კი თქვენს თხოვნას წავიკითხავ და
მოვიფიქრებ რამეს,—უთხრა მათ არქიელმა
ერთი წამის სიჩუმის შემდეგ.

— ჩვენ-მთელ მრევლს—უკვე აღრევ ვაქს
ნაფიქრევი,—უბასუბეს გლეხებმა და გამო-
ვიდნენ მისაღებ ოთახში.

— რა ამბავია?—შირბინა იმათთან მთა-
ვარმა.

— მოიცადეთო, გვიბრძანა.

— მაშ გამამწესებს! დაბოლოვა მთა-
ვარმა და გაემართა ქუჩისაკენ თვის შუამდგომ-
ლების მოსაცდელათ.

მღვდელთმთავარი კი მიუჯდა საწერ
სტოლს, რამდენჯერმე გადაიკითხა მათი თხოვ-
ნა, ჩაღუნა გაქადარებული თავი და მიეცა
ფიქრსა და საგონებელს. მას წინ წარმოუდგა
გადასაწყვეტად ძნელი საკითხი. „განვაწესო,—
ეს უფრო ღირსეულ კანდიდატების შეურაცხ-
ყოფა იქნება, უარი ვუთხრა,—და ვინ იცის,
იქნებ შეუგნებელმა და ბრმა სოფელმა თავისი
აასრულოს და მწვალებლობა მიიღოს. ეხლო
ძნელი და გარდამავალი დროა, ფიქრობდა
არქიელი. სოფლად უფრო საჭიროა, ვინემ
სხვაგან, განათლებული მოძღვრები, ესენი კი
უსწავლელს თხოულობენ. მართლაც ეს მრევ-
ლი როგორღაც კრელია; მათთვის ეს მთავა-
რიც უთუოთ კარგი მღვდელი იქნება“.

მღვდელთმთავარმა ხელი წაიღო კალმი-

საკენ, ამოუწო მელანში და ჩქარის და წვრი-
ლის ხელით დაუწერა თხოვნაზე თავისი რე-
ზოლიუცია:

„მივიღე რა მხედველობაში დაჟინებითი
და სარწმუნო თხოვნა მრევლისა, როგორც
გამონაკლისი, მთავარი ნიკოლოზ დეცემული-
ძე გამინწესებია მღვდლათ ს. ფრეწეთის ეკ-
კლესიაზე“.

შემდეგ ადგა მოხუცი, გამოვიდა მისაღებ
ოთახში და უთხრა გლეხებს!—გადაეცით
მრევლს, რომ მე, თანახმად მათის საზოგადო
თხოვნისა, მღვდლათ განვუწესე მათივე მთა-
ვარი!.. მაგრამ... წარმოსთქვა ძლიერ ფიცხი
კილოთი არქიელმა:—თუ ის ცუდი მღვდელი
გამოდგა, არ გაბედონ ჩემთან საჩივარი!.. რო-
გორც უნდოდესთ, ისე გამოირიდნენ.

— უმორჩილესად გმადლობთ,—მოახსენ-
ეს შუამდგომლებმა, მიიღეს ლოცვა-კურთხე-
ვა და საჩქაროდ გამოვიდნენ...

* * *

გათენდა კვირა ღვ. ფრეწეთის ეკკლე-
სია საესე იყო ხალხით. თითქმის მთელი მრევ-
ლი დიდი და პატარა, მოსულიყო უწინდელი
მთავრის და აწ კი ახალი მღვდლის მ. ნიკო-
ლოზის წირვის მოსასმენად, მაგრამ ხალხს პი-
რის სახეზე რაღაც არ ეტყობოდა სიხარული.
თუმცა ბევრმა მათგანმა მოაწერა ხელი თხოვ-
ნაზე, რომელიც არქიელს მიართვეს, მაგრამ
არც კი იცოდნენ, რა ეწერა იმაში. „მოწონ-
ება მ. მთავრისა“, აგონებდნენ მათ ხელის
მოწერის დროს უქონელიძე და ქარაფშუტაძე,
და რისთვის იყო საჭირო ეს „მოწონება“,—
არავინ არ იცოდა...

ჯერ მოსულიც არ იყო ამბავი მთავრის
მღვდლათ განწესებისა, რომ მრევლი ორ ბა-
ნაკად გაიყო. ზოგი მომხრე იყო იმისა, ზოგი
წინააღმდეგი. გლეხებისთვის აქამდის საყვა-
რელ მთავრის საეღზე მოისმა არა საამურა
სიტყვები.

— რა მღვდელი იქნება ის?.. სირაჯხანას
ბოძია,—არც მეტი, არც ნაკლები!..

— იმას ოღონდ „ორმოციანი“ დაანახვე,

ხელი დაუქნიე, წირვა-ლოცვას არც კი დაგი-
დეეს, ხელათ გამოგყვება, როგორც ძალი
მძორს!..

ასე მსჯელობდენ ვინც უკმაყოფილოთ
იყო მთავრის განწყევებით, მაგრამ ისეთებიც
იყვნენ, ვისაც მოსწონდათ იგი.

— მერე რა?.. ცუდი მღვდელი არ იქ-
ნება,— ამბობდენ ისინი. უბრალო კაცია, ჩვე-
ნი ღარიბი გლეხი არ ეთაკილება მას ..

— მოუწოდებ თუ არა, მოვა შენთან,
გვერდს მოგიჯდება, დალევს შენთან, გემუ-
საიფება თავდაბლად, როგორც ძმა ძმას და
ტოლი ტოლს.

ასე იყო თუ ისე მთავრის მღვდლათ ხელ-
დასხმა და განწყება მოხდა და იმან პირვე-
ლად სწირა, როგორც მღვდელმა.

მართალი რომ სთქვას კაცმა, იმან კარ-
გათ სწირა, რამაც ცოტათი დაამშვიდა უკმა-
ყოფილო მრევლთაგანნი.

უნდა ქადაგება ეთქვა! ეკლესიის ყარა-
ულმა ამბიონზე საწიგნობელი დასდგა, საით-
კენაც ხალხმა ერთბაშათ მიიწია.

მაშა ნიკოლოზი გამოვიდა საკურთხე-
ლიდგან, ხელში ერთი თაბახი გადაკრელებუ-
ლი ქალადი ეჭირე, მიეყრდნო საწიგნო-
ბელს და დაიწყო ქადაგება ღვთის განგების
მიუწომებელ ძალაზე, რომლის წყალობითაც
ის ეღირსა კაცთა მწყემსობას.

— ქეშმარიტად მიუწომებელი და ძნე-
ლათ გამოსაცნობია ეს ძალა, ლობიერათ
წარმოსთქვა მან ყურადღებით მაყურებელ
მსმენელთა წინაშე.

— დიახ, მანაო!.. შენ რომ ღონე იხმა
რე, იმ გზით გამასწორებელ რაზმამდისაც ად-
ვილათ მიახწევს კაცი, — წაიჩურჩულა გესლი-
ანათ მლოცველთა შორის მდგომმა სოფლის
მასწავლებელმა.

ახალგაზრდებმა ძლივ-ძლივობით შეიკა-
ვეს სიცილი.

რამოდენიმე დისატკობელ და ენა წყლი-
ან სიტყვებს შემდეგ მ. ნიკოლოზი გადავი-

და პრაქტიკულ ნიდაგზე.

„უნდა მოგაგონოთ თქვენ სიტყვა ღვთი-
სა: ეკლესიის მოსამსახურე ეკლესიამავე უნ-
და ასაზრდოვოს. ამიტომ თქვენი ვალია
მღვდელს იმდენი ძლიოთ საშრომო, რომ მან
გაუჭირვებლად იცხოვროს. მ. ვალენტინის
ღროს თქვენ ძლიერ ცოტას იძლეოდით, თუმც
ყველა ერთნაირათ არა: ზოგი მეტს, ზოგი
ნაკლებს. ეს ესე აღარ უნდა იქნეს შემდეგში!
ჩვენ შორის არ უნდა იქნეს უსიამოვნება სა-
შრომოს მიცემის გამო. მე კიდევაც გადაე-
სწყვიტე დავაწესო განსაზღვრული ნიხრი გა-
დასახადისა თვითეულ წესზე, სახელდობრ:
ბოვშის მოსანათლი 30 კ. ნაცვლად უნდა
მომცეთ 50 კ., ბოვშის საანდერძო 50 კ.,
დიღისა 50 კ. ნაცვლად — 1 მან, ჯვარ სა-
წერს წინეთ იძლეოდით 3 — 5 მ., ეხლა უნ-
და 6 მ. მომცეთ და სხ...“

ამ ნიხრის გამოცხადების ღროს მსმე-
ნელთ უკმაყოფილება დაეტყო და შეჩოჩოლ-
დენ, მოისხმა უკმაყოფილო ყველრება; ბევრს
სიბრაზისაგან თვალეციც აენტო...“

„ამინ“!.. — წარმოსთქვა მ. ნიკოლოზმა,
დაასრულა რა თვისი პირველი ქადაგება.

წირვა გათავდა, ფრწეთლები მღუმარეთ
გამოვიდნენ ეკლესიიდან და წავიდ-წამოვიდ-
ნენ თავიანთ სახლებში. არავითარ კეთილს და
არც მიჰზიდველობას არ გრძნობდენ ისინი
თავისს გულში ახალი მწყემსისადმი. რომელ-
მაც მოხერხებით ხელთ იგლო მღვდელობა.

მლ. ნიკიფორე კანდელაკი.

წარილი მეგობრის მიმართ.

№ 1.

მეგობარო ბესარიონ!

დიდი ხანია, რაც არ მინახავარ და, თუ
პატივცემულ მოძღვარმა, მაშა სიმონმა, ნება
მომცა, მწყურია, მის სიმპატიურ გაზეთ „ში-
ნაურ საქმეების“ ფურცლებზე გამოგემუსაიფო.
როგორ ხარ, ჩემო კარგო? როგორ ატყ-ბ
ნეტავ ქვეყნის ჩაღბის ტრიალს? ისევ ძველ-

ბურად მიღროქინობს იგი, თუ რაიმე ზეთი მოეცხო ამ ახალ წელს და წესიერად ტრიალებს? ჰო, მართალა, ბოდიშს ვიხდი შენ წინაშე, (თუ კი შეგობართა შორის მისაღები და დასაშობია ბოდიში), რომ ამ ახალ წელს წერილი, ჩვეულებისამებრ, მილოცვითა და კეთილ სურვილებით არ გამოვტენე და ისე არ გიძღვენი. მაგრამ ერთი ეს, რომ ამ ჩვენს შავსა და უკულმა მოტრიალებულს დროში არაფერი შეგულება ისეთი, რომ ის გინატრო და მეორეც (რაც უმთავრესია) მეტის მეტობა შე არაფერში მიყვარს, გარდა ღვთის რწმენისა და სულის უკვდაობაზე მსჯელობისა... ვიცი უმბრავლესობა მკითხველებისა გაიცინებს და შემნიშნავს: „წერილი უნდა იყოს ჯაწერილი დროების მოთხოვნის გემოზე და მსჯელობაც ანგარიშს უნდა უწევდეს თანამედროვე შეხედულებას, თანამედროვე ძარღვის ცემასა და სულისაო...“ მოგეცა ღვთის წყალობა, კარგი და საგულისხმო იყოს ასეთი რჩევა განიდან, მაგრამ მაგარი და სამწუხარო ის არი, ჩემო კარგო, რომ ეხლანდელ ცხრა რჯულა და აზროვნობით „მქლე“ დროების მთაყვანებელი არა ვარ, თუნდა მარტო იმიტომ, რომ ყოველაფერს „ლაპარაკობენ“, „ლაპარაკობენ“ და „ლაუსრულებლად... კეთებით კი რა კითხრა გენაცვა... დიდი არაფერი კეთდება ჯერ-ჯერობით!.. „მე ესა ვთქვი; შენ ესა თქვი; მან ისა თქვაო... გესმის ყოველგან და იმას არავინ დაგიდევს: „მე რა ვქენი“, „შენ როგორ იქცევი“ და „ის რას აკეთებს“... სიტყვის თავისუფლება დიახაც კარგი რამ ნივთია, მაგრამ ამ უფლებას გონიერული გამოყენება რომ უნდა, ამას შენც დამეთანხმები. „ყველაფერი იქმება და ყველაფერი კი არ ითქმებაო“, ამბობს ანდაზა; მაგრამ ყურს ვინ უგდებს ამას. ეს ანდაზა ძველებურისა და მონობის დროის შედგენილია და ყოველგვარ საამდროვო მნიშვნელობას მოკლებულია და გააქვთ რახა-რუხი და ქება-ქუხილი სიტყვით... გადაავლე, ძმაო, თვალი, თუ ჩემი არ გჯერა გაზეთებსა და ნახავ, რაც მარგალიტები ყრია შიდ... „სად არის ღმერთი? რას მიქვია სული? რა არის

უკვდავებაო?— გაიგეთ, უგუნურებოვო (გვიკიცინებენ ახალ-მოდის მწერალ-მოაზრენი), რომ ყველაფერი კუქშია და იმის გარეშე არა არის რაო!... კი ისე მოუფა მათს ცხვირსა და პირს, კარგი ტვინი და კარგი აზრები იმათ კუქიდან ამოალაგონ... აფსუს, გონიერებაე! აფსუს, ცნობიერებისა და მეტყველების ნიქო! აფსუს, ღვთის ხატებაე!.. გული მწყდება და მიკვდება, როცა გარშემო თვალს შემოვაყვებ ხოლმე... „ეს არის წინ წასვლა კაცობრიობისა? ეგ არის პროგრესი?“ ვეკითხები თავს და ძალა მისდელი დაეჩანჩალობ ჩემს ოთახში კუთხიდან კუთხეებში და ვეძლევდი სხვა და სხვა გვარ მწარე ფიქრებს... ასეთ აუტანელ მდგომარეობაში, არ დაგიმაღავ, მეგობარო, საბედნიეროდ, ხან და ხან, დიახ, სწორედ ხანდახან, საღ თავიანების (რომლებს თანამედროვე ერთგვარ მიმართულების პრესსა და მისი შემქნელი „ინტელიგენცია“ „ახლიგანებად“ უწოდებს) მსჯელობას მოვკრავ სადმე ყურს, ან წერილებს წავატყდები რომელიმე გამოცემაში და მით ვშოშმინდები!! ამისთანა პირების ნათქვამ-ნაწერებისაგან ვრწმუნდები, რომ ჯერ კიდევ მთლად არ გამეფებულა „სული წვედიალისა“, რომ არიან ჯერ კიდევ აქა-იქ ღვთის მორწმუნენი... აი ერთი მაგალითი: სატახტო ქალაქის გაზ. „სვეტ“ის მე-№ 9 ათ ამ თვიდან ვკითხულობთ: ყველასაგან ცნობილი დეკანოზი მამა იოანე კრონშტანტადტელი ყოფილა თურმე მეგობარი ვინმე ვაქარ სანდინთა, როლის ოჯახში იგი ხშირად დაიარებოდა. მ. იოანეს სიკვდილის წინა დღეს ბ. სანდინს ცოლი გახლამია ავად. ექიმ ივანოვს, რომელიც მოუწვევიათ ავადმყოფის გასასინჯად, დაუმოწმებია, რომ ქალბატონ სანდინას ფილტვების ანთების ნიშნები აქვს და ავადმყოფის მდგომარეობა საშიშია. მეორე დღეს ავადმყოფმა და მთელმა რუსეთმა შეიტყვეს სამწუხარო ამბავი მ. იოანეს გარდაცვალებისა. ქალბატონი სანდინასი უფრო მით იტანჯებოდა, რომ ძვირფას მოძღვრის დასაფლავებას ვედარ დაესწრებოდა, რადგან ექიმის მიერ სასტიკად აღკვედილი ჰქონდა გარეთ გამოსვლა. დაღა დასაფლავე-

ბის დღეც; ველარ მოითმინა ავადმყოფმა შინ წოლა, მოიხმარა ქალები, რის ყოფით ჩაიცვა და ერთი მანდილოსნის თანხლებით ჩაჯდა ეტლში და გაემგზავრა მოძღვრის დასაფლავებაზე დასასწრებლად, სადაც ბ. სანდინი ადრე იყო წასული. წრფელმა სარწმუნოებამ, რომელიც გამოხატა ავადმყოფმა მხურვალე ლოცვაში ძვირფას მოძღვრის კუბოს წინაშე, აგრძობინა მას უკეთყოფა. რამოდენიმე წამის შემდეგ ავადმყოფმა ქალბატონმა იგრძნო რაღაც ძლიერი ძალა და სრულიად განიკურნა, ასე რომ მთელი ექვსი საათი გაატარა ლოცვაში ფეხზე დგომით. სრულიად განკურნებული ქალბატონი გამობრუნდა სახლში. შინაურები თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ, როდესაც მძიმე ავადმყოფი დიასახლისი ასე უცხად განკურნებული დაინახეს... გავიდა ერთი საათი და ექიმი ივანოვიც მობრუნდა. როცა დაინახა ავადმყოფი მშვენიერ მდგომარეობაში, თავ-მოწონებით უთხრა: „ხომ კარგი ჰქენით, რომ დამიჯერეთ და არსად არ წადით, არ ხედავთ რა კარგადა ხართო?“ „დიახ, გადაქრით უბასუხა ქ. ბ. სანდინისამ: —მე კარგად ვარ, მაგრამ ეს იმის წყალობა არის, რომ ვიყავ მ. იოანეს კუბოსთან და ვილოცეო!“... ექიმის მდგომარეობა სასაცილო და აუტანელი გახდა, დასძინს კორკეს-პონდენტი. მგეობარო ბესარიონ! მიმოციქულე, თუ ძმა ხარ ურწმუნო თომებთან და მიიკითხე, რამ მოარჩინა ავადმყოფი დედაკაცი ასე უცხად ყოველგვარ წამლობის და ექიმობის გარეშე, როდესაც მედიცინის მოწმობით მხოლოდ თან და თანობით ხდება ავადმყოფების განკურნება? „ავადმყოფობა მისხლობით გამოდის ავადმყოფის აგებულებიდან“ იმეორებენ ექიმები. ბ. ივანოვმა ველარ ახსნა ესეთი მოულოდნელი მოვლენა და გაოცებული წავიდა სახლშიო, წერია გაზეთში. იქნება მოვლენათა ძიება პოვნაში სახელ განთქმელმა თბილელ კოლლეგა ბ. ივანემ უშველოს ბ. ივანოვს და აუხსნას ესეთ მოვლენის მიზეზი. ვიცოცხლოთ, მეგობარო, და ამასაც ენახავთ. მეორე უფრო ჩამოფიქრებელი ურწმუნოთათვის გასაწითლებელი და მორწმუნეთაგან სიხარულის გამოძწვევი

ფაქტი. გაზეთ „კავკაზ“-ის მე-12 ნომერში მოყვანილია სხვათა შორის სასწაულებრივი გადარჩენა თუთხმეტი წლის ქალიშვილისა მესსინაში მიწის ძვრის გამო აოხრებულ ნანგრევებიდან. გაზეთი მოგვითხრობს, რომ თურმე ერთ ჯარის კაცს (სალდათს) შეუყვარდა მესსინაში გენერლის სახლში მოსასახურე, 15 წლის ქალი. სალდათი სამსახურის გამო გადავიდა ნეაპოლში და სატრფო კი მესსინაში დარჩა, მაგრამ მანძილით დაშორებამ ვერ გასჭრა ახალ-გაზდებზე... გამართეს ერთ-მანეთში მიწერ-მოწერა, სიყვარული მათი დღე-ღღეზე იზრდებოდა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ გადასწყვიტეს მომავალ მაისისთვის ჯვარის დაწერა. მაგრამ უეცრად გაისმა საშინელი ამბავი მესსინის მიწის ძვრისა და ამის გამო მომხდარ უბედურებაზე! ამის გამოგონე საბრალო ჯარის კაცი ჯდება ხომალდში და მიეშურება ნეაპოლიდან მესსინაში, მაგრამ დანიშნულის კვალსაც ვერ პოულობს უწინდელ ბინაზე! ნაამხანაჯარ ჯარის კაცის შემწეობით დაუსვენებლად დაეძებს ორი დღე და ღამე ნანგრევებში, მაგრამ არსად არა სჩანს ქალი; ამის შემდეგ ამხანაგები უარს ეუბნებიან შველაზე. რჩება დაქანცული, იმედ მიხდილი ჯარის კაცი მარტო მარტო ბინაში, სადაც მას დაძინებია. აი ამ ძილში იგი ხედავს შემდეგ სურათს: დანიშნული საყვარელი ქალი გადმომდგარა ფანჯარაზე იმ სახლში, სადაც ისინი ერთათ ცხოვრობდნენ; გარშემო გაძლიერებული ცეცხლის ალი ბობოქრობს, მაგრამ ქალს არ ეშინია მისი და ნაზი ხმით ეძახის საქმროს: „ფრანკი, მიშველე, მე ვკვდები!“ თვალის დახამხამებაზე წამოიქრება ლოგინიდან ჯარის კაცი და მიჰქრის მახლობელ სამხედრო საყარაულოში და ევედრება უფროსს შიამველოს მას ჯარის კაცები, რადგან მას მოესმა ხმა თავის დანიშნულისა, რომელიც მას იწვევდა სახსენლად. ვეებერთელა სანათურით ხელში გამოჰკვებიან იმას ამხანაგები და შიამწვევენ ღამის წყვილადში ნანგრევ-ნანგრევებით დანიშნულ სახლამდე და შეჩერდებიან. შეყვარებული ჯარის კაცი სასოწარკვეთილებით ეძახის: „დომინიკა! შიამა.

სუხე, სადა ხარ, თუ გიყვარვარ! —ო, უცბათ ნანგრევებიდან გამოისმის ხმა: „მე ცოცხალი ვარ მიხსენი!“ —ო, დიდის ვაი-ვაგლახით ამოთხარეს ამ საფლავიდან ქალი, რომელიც სრულიად საღი აღმოჩნდა. ეხლა ორნივე ახალგაზდანი ყოჩაღად არიან და ფიქრობენ მხოლოდ მომავალ მაისში ჯვრის წერაზე, ათავეებს გაზეთი. შენი არ ვიცი, მეგობარო, და მე კი ამ ქვეყანაში, ვფიცავ გონიერებასა (თუმცა უგუნურობის და სიბნელის მეცნიერი შტრაუსი კი გამიწყრება, რადგან მას არა სწამს არავითარი სასწაული) რომ სასწაულს ვხედავ, ორ სულთა შორის დაუკიდებულობასა და თანამოქალაქობას!.. კმარა ამ დროებით. კიდევ ბევრი დამირჩა მოსაწერი შენი თავი ნუ მომიკვდება, მაგრამ გადავდეთ ის მეორე ნომრისათვის. მშვიდობით.

20 იანვარი. შენი ზაკო უჩარდია.

არა!.. ამითი ვერ განკურნოთ თქვენ ერის წყლული!!
 ვერ აღადგინოთ დაერდომილი ასეთი მღერით?!
 ერის ზნეობას უფრთხილდით თქვენ!! და ნუ აცდუნებთ
 ერს გატაცებულს თქვენი ურცხვი, უღვთო სიმღერით.
 ჰა! გამოფხიზლდა და მიგიხვდათ თქვენს ანგარიშებს!!
 ტაშს რომ გიკრავდათ, უარი ჰყო მან ის ხელეები და მიაჩერა სულ სხვა ვარსკვლავს თავის თვალები...
 ეჰა, ტანჯულო, წამებულო, ჩემო მამულო!
 ურცხვ და ცრუ მოძღვრებს შეებრძოლე მედგარი ბრძოლით,
 შენს იარეებს დააკვირდი ფხიზელის თვალით და ნუ გადადგამ ნურც ერის ნაბიჯს მათის წინძლოლით!!
 ივერიელი.

1909 წ. 3 თვეერვალი.

ზოგიერთ მწერლებს.

როს დაღვრემილი, სევდიანი
 სადგომში ვზივარ,
 და ან სიცივე-მორეული
 ბუხარს ვუზივარ,
 თქვენს მოქმედებას
 აზრთა დენას
 ღრმად ვაკვირდები
 და მიხედველი თქვენის ქცევის და თქვენის აზრის
 მწარედ ვიციანი,
 სევდანი მეტად ვლონდები:
 რომ ვერა ვხედავ მე თქვენს აზრში ციურსა
 სიბრძნეს,
 რომ ვერ მაძალღებს ღვთაებამდე აზრთ სიცხოველე
 და წამებულს, ცხოვრების გზას უფრო მიძნელებს..
 უსასოებას, უზნეობას ჩუმათ გვაპარებთ,
 ჩვენს ვაჟაკობას სახელოვანს ზეწარს აფარებთ,
 მამულს მილანძლავთ, სანთელს მიქრობთ
 ღმრთისადმი მიმყვანს
 და გასართობლად დამისახავთ პირუტყვულ წამებს!..

ი რ მ დ ი ა დ ა .

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი ს ა
 თარგმანი ფრანგულიდან.
 (გაგრძელება 1).

IV.

ავღს გულს შემოეყარა... მაგრამ, როცა რწყევას მორჩა, ისევ ჰამას მოსდგა.
 — მომართვი მარმარილოს ნაფხევი, ნაქსოსის მარილწყალი, ან ზღვის ქაფი, ჩქარა—
 გასცა მან ბძანება—ან და არა, სჯობს ვიბანოვო!
 მან აიღო ნაყინვი თოვლი და დაუწყო წუწუნა. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, თუ როგორი საკმელი აერჩია: ხორციანი კვერი, თუ დაბრაწული შაშვი, მან მოინება თაფლზე მოხრაკული კვახი.²⁾ „აზიელი“ მოწიწებით შესცქნაოდა მას. ყმაწვილის აზრით, ავღის გაუმადლოება და ღორმუცელაობა ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთი იყო იმისა, რომ რომელი ღირსეულ ჯიშს ეკუთვნოდა.

1) იხ. „ზინ. საქმ.“ № 22.
 2) გოგრა.

ავლს მოართვეს ხარის ქაქები, შემწვარი თრითინა, ბულბული და ვენახის ფოთოლში გახვეული, დანაყული ხორცი. მღვდლები კი ისევ მკვდართა აღდგინებაზე მსჯელობდნენ. ფილონის მოწაფე ამონიასი სასტიკათ დასცინოდა ასეთ სულელურ აზრს და თავის შეხედულებას უზიარებდა იქვე მდგომ ბერძენთ, რომლებიც, ბრიყვათ სთვლიდნენ ყველა ამ შკითხავენს. მარცელი და იაკობი მიუახლოვდნენ ერთმანერთს. მარცელი უამბობდა იმ ნეტარებას, რომელიც მან გამოცადა, როცა სპარსული ღმერთი მიტრიოსი იწამა, იაკობი კი სცდილობდა დაერწმუნებია იგი და ქრისტეს მოძღვრება მიეღებინებია.

ათასფერი ღვინოები ნაკადულივით ისხმოდნენ ამფორებიდან დოქებში, დოქებიდან თასებში და აქედან კი—ყელში. შეიქნა ხმაურობა და ყაყანი. იასიმე, თუმც ებრაელი იყო, მაგრამ ეხლა აღარ მალავდა მნათობთა ღმერთებს; ათაკიელი ვაჭარი მხატვრული ენით უამბობდა მოყიადეთ ჰიეროპოლისის ტაძრის შეენიერებას და იგინიც გულუბრყვილოთ ეკითხებოდნენ: რა ღირს ასეთი მგზავრობაო. დანარჩენნი კი იმ რწმენასა და აზრს იცავდნენ, რომელიც პატარაობიდანვე თავში ჩარჩენილათ. ბრმა გერმანელი განუწყვეტლივ უგალობდა ჰიმნს იმ სკანდინაველ კონცხს, სადაც ღმერთები მოავლენენ ხოლმე თავიანთ ბრწყინვალე სახეს. სიქებეველნი უარს ამბობდნენ შემწვარ მტრედებზე აზიამს სამღეთო მტრედის მორიდებით.

ბევრი შუა დარბაზში ფეხზე იდგა და ისე მუსაიფობდა, ორთქლისა და სასანთლეების კომლისაგან ნისლი იყო გამდგარი. ფანული ძლივს შემოძვრა კედლის გასწვრივ; მან ის-ის იყო დაათვალიერა ცის მნათობნი, მაგრამ ტეტრარქის მიახლოებას ერიდებოდა, რადგან ეშინოდა ზეთში გასვრისა, რასაც ესეველნი დიდ ცოდვით სთვლიდნენ.

უცბათ ციხის კარების რახუნი მოისმა. ხალხს გაეგო იოაკანამის შეპყრობა. საცალ-ფეხო გზებზე მოსჩანდნენ თინდილ ანთებული აღამიანნი; ხალხის შავი ბრბო ქიანკველასავით ირეოდა ხეებში—და დრო და დრო მო-

ისმოდა გრძელი, ყრუ ძახილი:

— იოაკანამ! იოაკანამ!..

— იგია ჩვენი ამრვეი,—წარმოსთქვა იონათფანმა.

— მოისპობა შემოსავალი, ფულის ნახი მთლათ დაგვეკარგება, თუ იგი ნებას მივუშვით!—ბქობდნენ ფარისეველნი.

ყოველი მხრიდამ მოისმოდა წყენა, ჩივილი.

— ტეტრარქო, დავეიფარე! დროა ბოლო მოულო ამ აღამიანს! შენ უღალატე სჯულს!—შენ უღეთო ხარ ისე, როგორც ჰეროდეს მთელი ტომი!..

— მაგრამ თქვენოდენი კი მაინც არა!—მიუგო მან—მამაჩემმა აგიგოთ თქვენ ტაძარი.

აქ რომ ვერაფერი დააკლეს, ფარისეველებმა—მატაფიას მომხრეთ და განდევნილთა შეიღებმა,—დაუწყეს ტეტრარქს ოჯახობის ბიწიერების მხილება.

უცნაური რამ იყო ეს ხალხი. ზოგ მათგანს თავიბირი რალაც ნაირათ ჩამოგრძელეზობდა, წვერი გაბურძენოდა, ხელები ბამბის ფთილასავით ჩამოჰკიდებოდა, ზოგის მიღებული, თვალ-დაქვეტილი ვიწრო სახე გოშია ძალივით გამოიყურებოდა. ათი-თორმეტი გადამწერი, თუ მღვდელთა მოსამსახურენი, რომელნიც ნამსხვერპლართი იკვებებოდნენ, დანებ ამოღებულნი მივარდნენ ანტიპას და ემუქრებოდნენ, იგი კი იდგა გაუნძრევლათ და მათ დაშოშმინებას სცდილობდა. საღუკვეველნი ვერ ახერხებდნენ მის დაცვას. ტეტრარქმა თვალის მოჰკრა მანაის და წასვლა ანიშნა. ვიტელი იჯდა დამშვიდებული; მის სახეს ისეთი გამომეტყველება მიელო, თითქოს ამბობდა: ყველაფერი ეს მე სრულიადაც არ მეხებაო.

ტრიკლინიუმზე მდგომი ფარისეველნი გაბრაზდნენ: მათ მთლათ ერთიანათ დაამსხვრიეს ჯამ-ქურქელი. ეს იმიტომ რომ, მათ მოართვეს მეცენატის საყვარელი საქმელი—შემწვარი ვირის ხორცი საწებლით—იგინი კი ერიდებოდნენ ასეთ საქმელს და უწმიდურებათ თვლიდნენ მას.

ავლი განუწყვეტლივ დასცინოდა მათ იგი ხარხართ აგონებდა მათ იმ ვირის თავს,

რომელსაც, როგორც ამბობდენ, ფარისეველნი აღმერთებდენ. ან კიდევ ისა რომ, იგინი არ სკამენ ღორის ხორცს—და ავლი მოჰყვა ოხუნჯობას—აღბათ იმიტომ, რომ ღორმა მოჰკლა მაგათი ღვინის ღმერთი, ვაქხი; ამიტომ მთელი მაგათი ტომი ღოჯებია. ასე გასინჯეთ ტაძარშიაც კი უნახეს მაგათ ოქროსაგან ჩამოსხმული ყურძნის მტევანი.

მღვდლებს არ ესმოდათ მისი ნალაპარაკევი. ფინეასმა უარი სთქვა მათ გადათარგმნაზე, რადგან თითონაც გალილეველი იყო. ამან ავლი კიდევ უფრო გააბრაზა, თანაც „ზიზელს“ შეშინებოდა და გაპარულიყო. იგი ვერ იყო კმაყოფილი მასპინძლობით: საქმელები უგემური ეჩვენებოდა, რადგან საკმაოთ შეკაზმული ვერ იყვენ! მაგრამ, როცა სირიულ ცხვრების ღუმეა შემოიტანეს, იგი მთლათ აათრთოლა შემწვარი ქონის სუნმა.

ყველა ეს გამოყვეყნებული ებრაელნი, მათი ქცევანი და ზნეჩვეულებანი სძულდა, ეზიზლებოდა ვიტელის.—მათი ღმერთი ის უღმობელი მოლოხი ხომ არაა—ფიქრობდა იგი—რომლის სამსვერპლოებითაც მთლათ საესე იყო გამოვლილი გზის პირები. იმ ზღაპრულ კაცის თქმულებასათან ერთად, რომელსაც ებრაელნი ვითომ განგებ ასუქებდენ, მას გაახსენდა მოლოხის წინაშე მსხვერპლათ მიტანილი ბავშვები.

მისი რომაული გული ზიზლით ივსებოდა იუდეველთა უკარებლობისა და პირუტყვული ეინიანობისაგან. მან წასვლა დააპირა... მაგრამ ავლი არ იძვროდა.

მუხლებამდე ქლამიდა ჩამოშვებული, იგი უდარდელათ გადაღმულიყო და საქმელებით საესე სუფრას თვალს არ აშორებდა. იგი ისე გაძღა, რომ ერთი ლუკმის ჩადებასაც ველარ ახერხებდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სუფრას მიინც ვერ სცილდებოდა.

ბრბო კი თან და თან ღელავდა. ზოგი დამოუკიდებლობაზედაც კი ოცნებობდა. ზოგი ცრემლმორჩევით იგონებდა ისრაილის სახელოვან წარსულს. განა ზეცამ შესაფერათ არ დასაჯა ყველა მათი დამპყრობ-დამტყვევენი? ანტიგონი, კრასი, ბარბი...

— არამზადანი! — ზიზლით წამოიძახა პროკონსულმა.

მას კარგათ ესმოდა სირიული და თუ თარჯიმანი ყოველთვის თან დაჰყავდა, ეს იმიტომ, რომ სანამდე ნალაპარაკევეს გადაუთარგმიდენ, იგი პასუხს ამზადებდა.

ანტიპამ სწრაფად ამოიღო ლითონის პატარა ფირფიტა, რომელზედაც იმპერატორის გამოხატულება იყო და შიშითა და კრძალვით უჩვენა იგი ბრბოს.

უეცრივ ორქოს ტრიბუნის მისაკეცი კარები გაიღო და მთლათ ყვეილებში ჩამჯდარი, მხეველთა თან ხლებით გამოჩნდა იროლიადა. აუარებელი სანთლის შუქი აბრწყინებდა მის სახეს. ნიკაპ ქვეშ ამობნეული ასურული გვირგვინი ოდნავ გვერდზე მოქცეოდა. ნახევი დალაღები შნოიერთა თეინებოდენ მის მდიდრულ შინდის ფერ პეპლოძს, რომლის ყურთ მაჯები იღლიებამდე იყო აქრილი. ნაქანდაკევი საშინელებანი, მსგავსნი იმათი, რომელნიც არგოსის სიმიდრეთა საკუქნაოს იცავდენ, ამართულიყვენ კარების ორსავე მხარეს და მათ შორის მდგომი იროლიადა ემსგავსებოდა ციბელას, რომელსაც თან ახლავს ორი მცველი ლომი.

იგი შესდგა იმ ამაღლებულთან, რომელიც ზედ ანტიპას თავზე ამართულიყო და პატარა თიხით ხელში ხმა მალლა ჰყვიროდა! — სცოცხლობდეს კეისარი!..

ვიტელიმ, ანტიპამ და მღვდლებმა ხმა მისცეს მას... უცბათ მთელ დარბაზში კრძალვისა და განცვიფრების ყრუ გმინვა გაისმა... (შემდეგი იქნება).

ლექსი პროზათ.

„სულა ბორტო! ვინ მოგიხმო ჩემდა წინამძღვრად, ჩემი სიცოცხლის და ცხოვრების შენ აღმაშფოთურად? მარტვი, რაუყავ სად წარიღე სულის მშვიდობა, რად მომიკალი ემაწვილ კაცის ბრმა სარწმუნოება?“

ნ. ბარათაშვილი.

ბორტო სუფთა! გამშორდა, გამდიდდა: რა გინდა ჩემგან? რას შეჰამინსდა: რათ შარუევ რწმუნას, სარწმუნოებას, ყოველივე მას, რაც აღამიანს ამაგრებს, ამხსნეებს, სიღატაკეს ფასს და მნიშვნე-

ლობას აძლევს? შენ ჩამხურხულე მუდამ—ყოველ-
თვის: არ არს ის, ვისაც შენ ფიქრობ: უფიქლოდ
თავისით გაჩნდა, წარმოიშობა და თავისითვე მოის-
პობა, რომ აღმდანი არის უბრალო ატომი მოთვლილ-
სი, რომ არათუ განსხვავებული მნიშვნელობა
მას არა აქვს, როგორც ბალახ-ფესვიანი აღმდანიც
უტრეთ ავსავლებ-მოისპობიან. წყველო სულ, შენ
კაიძხი არ არის განკება, არ არს უფალი საბათ
მყოფი, არ არს გარეგან ცოდვა-მადლის! შენ
მეუბნები არ დაიჯერო რაც საღმრთო წიგ-
ნებში მოთხრობილია: ის სულ ტყველია,
კაცთაგან თხუელი და მოგონილი და არა ზეციით
შთაგონებული ჭეშმარიტება; აღმდანის ღმრთისკან
შექმნა და შემდეგი მისი თავგადასავალი სულ ზღა-
პარია, ხაფიფი უმეტარ ზირთა და იმ კვარციუ ზირ-
თა დასაწმენებლად გამოგონილი. არ დაიჯერო,
დაჟინებით მეუბნები შენ დასაბამიდან აღმდანის
მტრად აუო სულთ, ვითომც კრისტე ძე ღვთისა
იუთს და აღმდანისთვის ჯვარზე ცმულიყოს და მით
ვითომც მას ხაღვი გამოგონის რაღაც მოწმისხულ
ცოდვებისგანო. რის ცოდვა, რა ცოდვა? არ შეგა-
შინოს არავითარმა მცნება-დარიკებაში. ხელი არ
აღო თავისუფლებასზე, ისე იცხოვრე. რაფარც გამ-
ხილებს ხორციელი ბუნება შენი, გახსოვდეს რომ
შენი ცხოვრება ერთი თვალის დახამხამების მეტი
არ არის, რომ ოდეს შენი ძალღმრთი მოსხლტე-
ბიან, მიწათ ძეცვე, მხოლოდ მიწის გასრუქებ და
სხვა არათუ არ მოგეგება შენს სიკვდილს: არც
სამოთხება, არც ჯოჯობეთი არც განკითხვა ცოდვა-
მადლის: სულის ამოსვლასთან შენ ჰქრები, აღ-
მანსო, სრულიად და ხელები მოთვლილს სულ უბ-
რალო ნაწილ ატომით. და ამისთვის ღირს რომ
შეხუთო შენი ცხოვრება, მთავალ შენ თავს სი-
მოვნება-გმეოთალება ვითომ და მეომისის ცხოვ-
რებისთვის? გირჩევ და გირჩევ არ მანქციო ურად-
ლება არათუ, კარდა შენი თავისა!

გასთულე. უღაპე, და მესრი აელე უვლას
და უფიქლისურსა. ნუ გებრადება ვინმე, ნუ გე-
ცხება: თუ შეგიძლია სულ უვლას მოსძე და შენ
იმეფე ამ ქვეყანაზე: თორემ შემდეგ ნურათუკრ
ელთ ხომ ხელაუ შენ რა რიგ უბედური ხარ შენის
სისუსტით, რაღაც მეომისის მოლოდინით დიდის
თმინითა! რა რიგ გამხსარხარ, სიცოცხლე, რა უმ-
ნიშვნელად არსება რამ ხარ შე უბედურთ: სხვანი

შენი ტოლები, ჩემის მცნებისა აღმსრულებლები,
რა რიგ ხარობენ ბედნიერობენ, ისინი თბილად
კუჭმადარნი ნებურობენ და, განისვენებენ, მათ
გუნდრუკს უკმევენ დიდი, ზატარა; შენთვის საღამ-
საც დაიზარებენ; შენ კი ვინა ხარ და ან რა გქვია?
ვინ მოგაქცევს ურადლებას მშეკრ-მწეურვას და
ძონებში გამოხვეულის? აწ მანც დამიჯერე, ჰეი.
აღმდანო: მართალს გირჩევ და გამოსაღებს, ვინი-
ანობით ნუ მაწეუბნებ, მე მსურს შენთვის მრ-
ლოდ კეთილი და მინდა მოგანიჭო მეუდრო ცხოვ-
რება, რომ არღა გამოთუბდეს ტუფილი რამე
წარმოდგენა და მოლოდინი! ჰა, ხომ ხელები, რას
გუებნები?

წყველო სულ! როგორ მიბედა შენ ამის-
თანსა შე გაცნებას? ტყველად ფიქრობ ჩემსა
შეცდენას, დამოწმებებს? გიცნობთ წყველო! შენ
ის არა ხარ, რომელმაც ზეცისა ძალნი აიყოლიე
და მოინდო შენ შემოქმედის ურნობა და მასთან
ტოლობა? შენ ის არა ხარ, რომ ჩვენ წინაპრთ-
აღმს და ევს დაჯარვებზე ნეტარება, სამოთხის
ბედნიერება და მთავლინე მათზედ რისხვა-წერმა
უსუნჯისის? შენ ის ბრძანებო მართალ იბას,
მოთმინების წყაროს და მაგალითსა, რომ შემოქ-
მედთან ჩირქი წასცეს და მოინდო შენ გაქარწყლება
მისთა სათნებათა და ამის განსახორციელებლად
ამომრავე უფიქლოდ შენი უმბაკური მანქანება, მა-
რამ ამოდ? შენ ის არა ხარ, ჩვენ მხსნელ მაცხო-
ვარს, იესო ქრისტეს, უღანთმა მარხვა-ლოცვით
ნამოღვაწევსა, რომ შეუჩნდი და გსურდა მისი
შეცდუნება, მაგრამ სასტიკათ მისგან თვით შენ
იქენ-ძლეული? დიახ, დიახ, გიცნობ ბოროტო სუ-
ლო, რომ შენ არა ხარ ჩვენი მოკეთე, კეთილის მყოფი
და ამიტომ ახლა შე გირჩევ ტუფილად დროს ნუ
დაჭკარავ! შენ ვერ მჯობებ და ვერ შემაძღვენ, და
გირჩევ უხლავ მალე მომშორდე: სულ ამოა შენი
რჩევა, შენი ჩინი: ვატობ კარგათ, რომ განდა
კერ იარადი ამგრო და მერე უფრო ადვილად
დამომოწმებო, მაგრამ ამოდ...

წყველო სულ! შენ ჩამომძახი არ არის ღმერ-
თი, არ არს უფალი საბათო მყოფი, არც არს
განკება და ცოდვა-მადლის-სინჯვა-გარჩევა, არც
მოვლენილი ზეცით ვინმე აღმდანთა მხსნელად-
მაშველად: ვინ არის ქრისტე და რას მიჭეიან, სულ
ტუფილია მისი სახელი, მისი დიდება! არა, უფო-

რო სულა, ეს კა არ არის ტუქილი, ტუქილია შენი დაღი და შეცდინეობა: მრწამს ტუქილი, რომ ქვეყანას განაგებს ღმერთი სიძებით ერთი, რომ იგი არის სული წმიდა, ცხველს მუთუელი, ცისა და ქვეყნის განმეული, ყოველთა ქმნულთა წარმოქმნა და მათზედ მზრუნველი. მრწამს და კადეც ადვიარებ, რომ მან ყოველ ქმნილებაში განსხვავებულ და გამოჩენულ გვერდებზე ადამიანის, რომ სულ სხვა დანიშნულება მოგვცა ჩვენ ამ ქვეყნად და დაგვადგინა მეფედ ყოველთა სხვა ქმნილებათა. ვერ დამარწმუნებ, ზოგჯერეთისა კერძო, რომ ძე ღმერთისა არ უოფილიერის ჩვენ გამოჩენილად მოსრული მე მრწამს მტკიცე, რომ მოწყალე უფალმა ღმერთმა შენის ცდუნებით გაუბედურებულ ადამიანსა მოუფლანს ქვეყნად ძე თვისა მხალად შობადი და საყვარელი, რათა მას ეტვირთა ადამიანთა ცოდვანი, რომ შექმნულთ ბედნიერებისთვის დაბრუნებულად ისე ბედნიერება! მეც კარგათ ვიცი, რომ შენ ძლიერ გმურს, რომ თავისსა ვსტემ ჩვენსა მაცხვარს, იესოს ტკბილსა, რომ იგია ქვა-კუთხედი ჩემის ცხოვრების და შენთა ძალთა შემშუსრველი, წყულო სულა! ძლიერ გაშინებს ქრისტეს სახელი, ძრწი და თრთოლავ მის სხელებზე? ეხლა ხომ ხვდება, რომ ტუქილებს ჩმხავდი და მაცდუნებდი ქრისტეს სისხლით გამოსვიდულს და მობაბუღლს. თუ არა არის რა, შენ რატომ შიშობ? რა გათრთოლებს და გაკანკალებს? იცოდე შენ, ბოროტ სულა, რომ მე უქრისტეოთ არ მსურს ვიცხოვრო: იგი არის, რომ სულს მიბრუნებს, მინაშენლობას აძლევს ჩემსა ცხოვრებას, თარემ უმისოდ იქნებოდა ყოველივე ამათ, ფუჭი; ქრისტეს ჩემი იმედ ნუგეში და მწარე ცხოვრების გამტკბილებელი მე მას ვენდობი და რწმენით შევეურებ რომ ასრულდება შენაზიარება: კეთილთათვისა სიციხის იქნება გამსადგებელი სასუფეველი-მიუწლომელის ღმერთის ახლას უფუნა და მისი ჭვრეტა ნათელმოსილად, ხოლო შენდაში აშოლთათვის ცუცხლი-კენია დაუპრეტელი და შენ იქ მათი დამტანვეელი და ამით ძლიერ გახარებული. მე არ ვღებულობ შენსა, სატანა, მცნებას; არეინ დაზოგო და შეიბრალა, მივსტე ვნებათა-ღელვას თავისფლება, უხორცი ვასუქო და სული ვამწლევეთ. არა მე სხვა მაქვს მცნება, დარიკება, მე იგი მომწონს და მისი აზრით გამსჭვალვას ვსცდილობ და ცხოვრებაშიც

განხორცილება. მე მარად მასსავს ცოდვა, ჭვარა, ქრისტე და სიციხის საუკუნო ცხოვრება და მიტომ ვთმენილობ ათასგვართა კლება-დამცირებისა და არ შეშინის გარემოდგომილ განსაცდელ ბოროტებისა გახსოვდეს ესა და აწ მაინც არ გაბედო ჩემ თან ყოფნა ხელის წამოკვრა, არც შორიხლო გვერდით ჩავლა მოახლოვება, თარემ იმწამსვე გახსენებ ჩემსა მხსნელის სახელს და შევამწუნებ შენსა არებას. ქრისტეს იმედით მე მიჩვენება ესე ძონძებში ყოფნა, სიმშვილ-წყურგილი, ვიდრე შენ მიერ შენაზიარები ფარხა-ფლასები, ფუფუნება და განცხრომით ყოფნა. ხომ ხვდება, ცდომილო სულა, რომ მე ციხე მაქვს მიუვალი და გაუტეხელი და ვერას მიხამს შენი ძალა და მანქანება და კიდევ გიჩვენებ სხვა მოძებნა ვინმე ჩემზე სუსტი, უძლეური და იგი გაიხადე შენ შენ მოციქულად. მაგრამ მეტრადვი და ამიტომ სხვა რჩევას გაძლევ, უფრო უკეთესს: უკუგდე შენ ბოროტება, სხვისა შეცდენის წაღილ-სურვილი. თუმცა დიდა ღმერთის წინაშე შენი დანაშაული, მაგრამ სინანულით, ცრემლთა დენით ყოველივე ადამიანება და იგი სისხრულით მიგიღებს და შეგინდობს შენა. დრო არის ხელი აიღო შემოქმედთან ბრძოლა-მეტოქობაზე, დაუმორჩილდი მას და ნულა ფიქრობ სხვისა შეცდენას. იფიქრე შენ თავზე თუ რა მოგვალის, თარემ ინანებ...

აბა მოთხარი ვისი რჩევა სჯობს ჩემი თუ შენი?

ქ. ქუთაისი 1903 წ.

ქვაციხელი საბაეოელი.

კვირიდან კვირობამდე.

გაზ. „დროება“ გაზ. „კასპის“ სიტყვით ვვატყობინებს, რომ მთავრობამ სახელმწიფო სათათბიროში შეტანა კანონ-პროექტი, რომლითაც სამღვდლოებებს და სასულიერო სემინარიის მასწავლებლებს ჯამაგირები უნდა მოემართო.

სამეურნეო გამოფენა ქ. ქუთაისში მცნეკტემბრიდან იწყება. გამოფენაზე ლექციებს წაიკითხავს ბ. ნ. თ. მკურნალი და სხვანი.

სომეხთა ქათალიკოსს მირონის ცხების ღროს, უქვე შევერდომელესი დებეშა გაუგზავნია ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომელ-ზედაც პასუხად მოსვლია შემდეგი დებეშა: „გულითა ვმადლობ თქვენს უწმინდესობას ლოცვა კურთხევ-სა და კეთილ სურვილები-თვის, ვთხოვ უფალს, დაგეხმაროთ სომხურ ეკლესიის სამსახურის საქმეში და ხელი მო-გიმართოთ, რომ თქვენდა რწმუნებული სამ-წყსო აზარდოთ ხელმწიფისა და რუსეთის ერთგულებაში“. („ღროება“).

მე კიდევ ის მაფიქრებს!

მე კიდევ ის მაფიქრებს, რანაირად მოხ-და, რომ ჩვენი გამომცემელი საზოგადოების წიგნის კიოსკი გადაიქცა წყლის გასაყიდ ღუქნად? ვისი ნებართვით მოხდა ეს და ვინ ღებულობს ქირას? ამას წინად კიოსკის უნუ-გეშო მდგომარეობა გვალონებდა, გულჩათ-ხრობილობა ჩვენი საზოგადოების უგულობას მოწმობდა და მით წყლულზე წყლულს გვიმა ტებდა. უწინ არა თუ კიოსკში შესვლა, მის გარშემო დგომა და სეირნობაც კი ეზარებო-დათ, ეხლა რაღაც მანქანების ძალით მხიარუ-ლება განცხრომის ცენტრად გადაქცა, სადაც ყოველ სღამოს იკრიბება ჩვენი საზოგადოე-ბის ყვაილი და როგორც ფარვანა თავის სატრფო სანთელს, ისე უტრიალებს მის გარ-შემო. სად არიან უკანასკნელნი გამგენი ბედ შავ კიოსკისა, რატომ პასუხს არ აძლევენ ამხანაგობას თავის მოქმედებაში? რა იქნა სა-ზოგადოების ფული, თუ იყო ეს ფული, რა ბედი ეწია მის გამოცემეს? აღდგება კიდევ როდისმე ეს საზოგადოება, თუ მან უკვე საუ კუნოდ განისვენა? ყველა ამ კითხვებს პასუხი უნდა. ამას მოითხოვს პატიოსნება, ამას მო-ითხოვს მოვალეობა წინაშე საზოგადოებისა და უკანასკნელ ამას თხოულობენ საზოგა-დოების წევრები. თუ რაიმე მიზეზით მოუხერ-ხებელია ამ საკითხების კრებაზე გამორკვევა,

რატომ გაზეთის საშეაღებით ზაინც არ გაგეაც-ნობენ საქმის გაჩერებას? ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს იმედი, რომ მალე ველ-რსებით პასუხს დასმულ კითხვებზე.

ამხანაგი.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

ბეღაქსი უმოკილხად სთხოვს ხელის მომწერლებს
● წარმოადგინონ ამ წლის ხვედრი ფასი ●
(იხ. „ზინ. საქ.“ № 21).

ვაგზადეუ სამღვდელო და საღიაკვნო საგნეუში,

ბკრეთეუ სემსწაულებლო ეკსამენის ეს-ღებად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17.

ქ. ქუთაისში კახაკოვის ქუჩაზე სხ. № 17,

გაიხსნა პირველი ქალთა ოთხკლასიანი

პროგიმნაზია
სახელსნო განყოფილებით,

სადღეც საპროგიმნაზიო სკენებს კარდა ასწაულიან ჭრა-კერვას, ხალებიხ, ფარ-ღაკების, ჩუღქების, ტილოების და მიტკ-ლებიხ ქსოვას, ბამბაკების კერვას და სხ. წლიური გადასახადი პროგიმნაზიაში 30 მან., სახელოსნო განყოფილებაში 40 მ. პროგიმნაზიულ კლასებში მოსწაულე ქალები კურ-სის დამთაურებასთანეუ ათაუებენ სახელოსნო განყო-ფილებასაც.

სასწაულებელმა უკვე დაიწყო მოწაუე-ბის მიღება როგორც პროგიმნაზიულ კლასებში, ისე სახელოსნო განყოფილე-ბაშიდაც.